ევროპის საბჭო

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT)

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

CPT/Inf(2020)13

განცხადება ძირითად პრინციპებზე თავისუფლებააღკვეთილ პირთა მოპყრობასთან მიმართებით კორონავირუსული დაავადების (COVID-19) პანდემიის პირობებში

გამოქვეყნებულია 2020 წლის 20 მარტს

(არაოფიციალური თარგმანი)

კორონავირუსული დაავადების (COVID-19) პანდემია უდიდეს გამოწვევებს უქმნის ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს ხელისუფლებას. განსაკუთრებული და მწვავე გამოწვევების წინაშე დადგა თავისუფლების აღკვეთის სხვადასხვა დაწესებულების პერსონალი, მათ შორის, პოლიციის დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, საიმიგრაციო დაკავების ცენტრებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებსა თუ სოციალური მზრუნველობის სახლებში და სხვადასხვა ახლად შექმნილ დაწესებულებაში/ზონაში, სადაც პირების კარანტინში მოთავსება ხდება საჭირო. აცნობიერებს რა COVID-19-ის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა აშკარა აუცილებლობას, წამების საწინააღმდეგო კომიტეტს (CPT) სურს ყველა მხარეს შეახსენოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური ბუნება. დამცავმა ზომებმა არცერთ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა. CPT-ს აზრით, ყველა შესაბამისმა ორგანომ, რომელიც პასუხისმგებელია ევროპის საბჭოს ტერიტორიაზე თავისუფლებააღკვეთილ პირებზე, შემდეგი პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს:

1) ძირითადი პრინციპი გულისხმობს ყველა შესაძლო ზომის მიღებას თითოეული თავისუფლებააღკვეთილი პირის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად. ამგვარი ქმედებები ასევე ხელს უწყობს პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.

2) თავისუფლების აღკვეთის ყველა დაწესებულებაში დაცული და ზედმიწევნით შესრულებული უნდა იყოს ჯანმო-ს სახელმძღვანელო მითითებები პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ასევე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვისა და კლინიკური ეროვნული გაიდლაინები.

3) უნდა გაძლიერდეს პერსონალის ხელმისაწვდომობა, ხოლო თავად პერსონალმა უნდა მიიღოს ყოველგვარი პროფესიული დახმარება, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის საშუალებები, ასევე აუცილებელი ტრენინგი, რათა მათ შეძლონ თავიანთი მოვალეობების შესრულების გაგრძელება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

4) ნებისმიერ შემზღუდველ ღონისძიებას, რომელიც თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ უნდა გატარდეს COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი, იგი უნდა იყოს აუცილებელი, თანაზომიერი, პატივს სცემდეს ადამიანის ღირსებას და იყოს დროში განსაზღვრული. თავისუფლებააღკვეთილ პირებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია ამგვარი ზომების თაობაზე.

5) რადგან მჭიდრო პირადი კონტაქტი ხელს უწყობს ვირუსის გავრცელებას, ხელისუფლების ყველა შესაბამისმა ორგანომ უნდა მიმართოს ძალისხმევა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის გამოყენებაზე. ასეთი მიდგომა იმპერატიულია, განსაკუთრებით გადატვირთულობის პირობებში. გარდა ამისა, ხელისუფლებამ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ალტერნატიული ზომების გამოყენებას წინასწარი პატიმრობის ნაცვლად, სასჯელის შემცირებას, ვადამდე ადრე გათავისუფლებას და პირობით გათავისუფლებას; ხელახლა გადახედოს ფსიქიატრიულ პაციენტთა დაწესებულებებში არანებაყოფლობითი მოთავსების გაგრძელების აუცილებლობას; სადაც შესაძლებელია, შეაფასოს სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მოთავსებული პირების გაწერის ან სათემო მზრუნველობაში გადაყვანის შესაძლებლობა და მაქსიმალურად აირიდოს მიგრანტების დაკავება.

6) რაც შეეხება სამედიცინო დახმარებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დაკავებულ პირთა სპეციფიკურ საჭიროებებს, ყურადღების გამახვილებით დაუცველ ჯგუფებსა ან/და რისკის ჯგუფებზე, როგორიცაა ხანდაზმული პირები და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები. ეს, მათ შორის, მოიცავს სკრინინგს COVID-19-ზე და, საჭიროების შემთხვევაში, ინტენსიურ თერაპიაზე მიმართვას. გარდა ამისა, მოცემულ ვითარებაში დაკავებულმა პირებმა პერსონალისგან დამატებითი ფსიქოლოგიური დახმარება უნდა მიიღონ.

7) მართალია, მართებული და მიზანშეწონილია არსებითად ნაკლებად მნიშვნელოვანი აქტივობების შეჩერება, პანდემიის დროს დაკავებულ პირთა ძირითადი უფლებები სრულად უნდა იქნას დაცული. ეს განსაკუთრებით შეეხება პირადი ჰიგიენის შენარჩუნების უფლებას (ცხელი წყლის და საპნის ხელმისაწვდომობის ჩათვლით) და ღია ცის ქვეშ ყოველდღიური ფიზიკური აქტივობების უფლებას (მინიმუმ ერთი საათის განმავლობაში). გარდა ამისა, გარე სამყაროსთან კონტაქტის, მათ შორის, ვიზიტების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა დაბალანსდეს კომუნიკაციის ალტერნატიულ საშუალებებზე წვდომით (მაგალითად, სატელეფონო ან ხმოვანი ინტერნეტ-პროტოკოლით კომუნიკაცია).

8) დაკავებული პირის იზოლაციის ან კარანტინში მოთავსების შემთხვევაში, თუ იგი ინფიცირებულია, ან არსებობს ეჭვი, რომ შეიძლება ინფიცირებული იყოს SARS-CoV-2 ვირუსით, მას ყოველდღე უნდა ჰქონდეს ადამიანებთან შინაარსიანი კონტაქტის შესაძლებლობა.

9) სრულად უნდა იყოს დაცული სამართალდამცველი ორგანოების პატიმრობაში მყოფ პირთა არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ფუნდამენტური გარანტიები (ადვოკატზე წვდომა, ექიმზე წვდომა, დაკავების შესახებ შეტყობინება), ყველა ვითარებაში და ნებისმიერ დროს. შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილი იყოს პრევენციული ზომების მიღება (მაგალითად, სიმპტომების მქონე პირებისთვის დამცავი ნიღბების გაკეთების მოთხოვნა).

10) დამოუკიდებელი ორგანოების, მათ შორის, პრევენციის ეროვნული მექანიზმისა (NPM) და CPT-ს მონიტორინგი კვლავ რჩება არასათანადო მოპყრობისგან დაცვის არსებით გარანტად. სახელმწიფოებმა უნდა განაგრძონ მონიტორინგის ორგანოების წვდომა დაკავების ყველა ადგილზე, მათ შორის, იმ ადგილებზე, სადაც პირები კარანტინში იმყოფებიან. ამასთან, მონიტორინგის თითოეულმა ორგანომ უნდა მიიღოს სიფრთხილის ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვან „არ ავნო“ პრინციპი, განსაკუთრებით, როცა საქმე აქვთ ხანდაზმულ პირებსა და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებთან.